- სტუდენტთა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია ცალკეული სასწავლო დისციპლინებისათვის საჭირო დამატებითი საკონსულტაციო საათები.
- ექსპერტებს ვიზიტის დროს გვექონდა საშუალება შევხვედროდით აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს, რომლებმაც დაგვიდასტურეს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა დამატებითი კონსულტაციების გამოყენების. ამისათვის მათ აქვთ ცალკეული საათები გამოყოფილი და პროგრამის სტუდენტები აქტიურად იყენებენ ამ შესაძლებლობას.
- რაც შეეხება კარიერულ განვითარებას, უნივერსიტეტს ყავს პარტნიორი კომპანიები, რომლებიც თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან. გარდა ამისა ყველა სიახლესთან დაკავშირებით სადოქტორო პროგრამის სტუდენტები იღებენ ინფორმაციას, თუმცა ისინი უკვე დასაქმებულები არიან. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მონაწილეობას იღებდნენ და იღებენ შოთ რუსთაველის ეროვნული ფონდის საგრანტო, კვლევით პროგრამაში. მათ საშუალება ექონდათ, რომ ამ გრანტის ფარგლებში დაეფინანსებინათ სწავლა და ასევე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები, როგორცაა საერთაშორისო, რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა.

- უნივერსიტეტში არსებობს გრანტების სისტემა, რაც მოიცავს აკადემიური პერსონალისათვის სტატიების, კონფერენციების და სხვა სამეცნიერო აქტივობების დაფინანსებას. აღნიშნული გრანტები ეხება სტუდენტებსაც. ზოგჯერ ხდება სრულად დაფინანსება, ზოგჯერ ნახევრად, ამ ყველაფერს იხილავს ფაკულტეტის საბჭო და საბჭოს დადგენილებით განისაზღვრება გრანტის ოდენობა.
- მნიშვნელოვანი საკითხია დოქტორანტის ჩაბარების პროცესი, სანამ დოქტორანტი უშუალოდ სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების პროცესამდე მივა, მათ აქვთ საშუალება შეხვდნენ და გაიარონ კონსულტაციები სავარაუდო თემის ხელმძღვანელებთან. დარწმუნდნენ რამდენად მზად არიან პროგრამაზე ჩაბარებისათვის, ისინი განიხილავენ სავარაუდო თემის სათაურს, ფაქტიურად მომავალი დოქტორანტი სანამ ჩააბარებს მას უკვე ჩამოყალიბებული აქვს თემის სათაური ის უკვე დარწმუნებულია იმაში, რა სირთულეების გავლა მოუწევს და შეძლებს თუ არა ამ ყველაფერს გადალახვას.
- ფიზიკის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარება გარდა იმის, რომ სტუდენტებს ეხმარებათ კვლევითი უნარების განვითარებაში, პროგრამა ეხმარება კარიერულ განვითარებაშიც. მაგალითისათვის, მასწავლებელს, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი მალევე ხდება უფროსი მასწავლებელი. ამ შემთხვევაში სკოლები, რომლებთანაც უნივერსიტეტი თანამშრომლობს საკმაოდ ნაყოფიერია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფიზიკის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური პირებისა და სტუდენტების საგრანტო აქტივობები 2012-2020 წლებში
- ბრძანება: ბსუ - ს აკადემიური პერსონალის სამუშაო განრიგის (სააუდიტორიო და საკონსულტაციო საათების) და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამუშაო განრიგის დამტკიცების შესახებ. 2019-2020
- ფიზიკის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური პირებისა და სტუდენტების საზოგადოებრივი აქტივობების ნაწილი, რომელიც განხორციელდა 2012-2020 წლებში
- ფიზიკა, უმაღლესი განათლების მესამე საფეხური ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში.
- დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა No23, გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ
- დადგენილება#111, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი <ul style="list-style-type: none"> ○ დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტების ხელმძღვანელობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით. ○ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას, ასევე, ხელმძღვანელობს დოქტორანტის პროფესორის ასისტირებისათვის მომზადებას. დოქტორანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მეცნიერი ან სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი. ○ დოქტორანტის საკვლევი თემის შერჩევა ხდება, ხელმძღვანელთან კონსულტირებით, ხელმძღვანელის სამეცნიერო ინტერესისა და სამეცნიერო გამოცდილების გათვალისწინებით. ფიზიკის სადოქტორო პროგრამა მოიცავს

საკვლევ თემატიკის ნუსხას, რომლის ფარგლებში უკვე დოქტორანტი ირჩევს მიმართულებას.

- პანდემიამდე დოქტორანტებს კვირაში ერთხელ ქონდათ შეხვედრები მეცნიერ-ხელმძღვანელთან. განიხილავდნენ, როგორც სადისერტაციო თემის ასევე, საკონფერენციო, ან სხვა, სამეცნიერო აქტივობების შესახებ საკითხებს. პანდემიის პირობებში მათ აქვთ საშუალება ონლაინ რეჟიმში შეხვდნენ ხელმძღვანელებს. 2020 წლის მარტს დამტკიცდა ბრძანება საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში ბსუ-ში სასწავლო პროცესის განხორციელების დამატებითი ღონისძიებების შესახებ, რის მიხედვითაც წარიმართა უკვე სასწავლო პროცესი. დოქტორანტებისათვის ხელი არ ონლაინ რეჟიმს. მათ აქვთ ხშირი კონტაქტი მეილით და ნებისმიერ საკითხზე გარდა დისერტაციისა, რაც მოიცავს დამატებით კვლევებს შეუძლიათ მიმართონ ხელმძღვანელს. არასდროს შექმნიათ პრობლემა ხელმძღვანელთან პირიქით თვლიან, რომ ძალიან დიდი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე პროფესორები ყავს უნივერსიტეტს და სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მათ ამ უნივერსიტეტში გააგრძელეს სწავლა სადოქტორო პროგრამაზე. ექსპერტებს ასევე გვქონდა საშუალება შეხვედროდით მეცნიერ-ხელმძღვანელებს. პროფესორები თავიანთი კვლევითი მიღწევებიდან და სამეცნიერო გამოცდილებიდან გამომდინარე წარმატებით მართავენ სასწავლო პროცესით გაწერილ აქტივობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დადგენილება №19, ბსუ-სდოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ
- ფიზიკა, უმაღლესი განათლების მესამე საფეხური ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში.
- დადგენილება №19 ბსუ-სდოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p>4.1 ადამიანური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანამშრომელთა CV-ების, თანდართული დოკუმენტაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალთან უშუალოდ შეხვედრისა და გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პერსონალის რაოდენობა არის 13. მათ შორის 9 აფილირებული აკადემიური (აფილირებული პროფესორი - 4, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 5). აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (9 აკადემიური/4 მოწვეული) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პედაგოგიური გამოცდილებით, მათ მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომებით, სამეცნიერო საგრამტო პროექტებში ჩართულობითა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით.

პერსონალის დატვირთვას არეგულირებს უნივერსიტეტის შესაბამისი აქტები (რექტორის ბრძანება, დეკანის წარდგინება, დეკანის სამსახურებრივი ბარატი).

პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;
- პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასება.

ხდება სტუდენტთა კმაყოფილების გამოკვლევა პროგრამის თითოეულ საგანთან და ამ საგნის ლექტორთან მიმართებაში. გარდა ამისა, ფასდება ლექტორის ჯგუფების აკადემიური მოსწრება და სტუდენტთა მიღწევები კონკრეტულ ლექტორთან მუშაობის პროცესში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სასურველია გამოიკვეთოს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზი მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით.

ბსუ-ს ელექტრონულ ბაზაში ხდება პერსონალის ყოველწლიურად ამზადებს გავლილი სამეცნიერო მუშაობის ასახვა და ანალიზი. ანალიზის შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. ბსუ ხელს უწყობს მისი პერსონალი სამეცნიერო/კვლევითი პროექტებში ჩართულობას, მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში და აფინანსებს სამივლინებო ხარჯებს კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად და პუბლიკაციებისთვის საჭირო ხარჯებს.

პერსონალის CV ადასტურებს, რო შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის კონტროლის ჯგუფთან;
- ინტერვიუ ანალოგიური პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
-

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გამოიკვეთოს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზი მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა. უნივერსიტეტში არის ყველა პირობა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. არის უკაბელო ინტერნეტი.

სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზითა და ბიბლიოთეკით, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არის პროგრამით განსაზღვრულ საგნების სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა როგორც წიგნების, ასევე ელექტრონული ფორმით. სტუდენტებს აქვთ საშუალება მოითხოვონ და მიიღონ ისინი. სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ადგილზე დააკოპირონ მათთვის საჭირო გვერდები. უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია Scopus-ის ბაზა, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ გაეცნონ თანამედროვე გამოცემებს.

უნივერსიტეტში არის კომპიუტერებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები სადაც სტუდენტებს შეუძლიათ იმუშაონ როგორც ჯგუფში ისე ინდივიდუალურად.

პროგრამის განხორციელებას ხელს შეუწყობს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ქრომოტოგრაფიული ცენტრი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან;

<ul style="list-style-type: none"> ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აცხადებს, უნივერსიტეტის მისიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არის ფუნდამენტურ მეცნიერებებზე ხელშეწყობა, ფიზიკის სადოქტორო პროგრამის განხორციელება არის უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი. რაც თავისთავად მოიაზრებს სადოქტორო პროგრამის განხორციელებას და მის ხელშეწყობას. აქედან გამომდინარე, პროგრამის დაფინანსების მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.</p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტები-ბსუ-ს ბიუჯეტი; დადგენილება დეტორანტურაში სწავლის საფასურის შესახებ; ხარჯთაღრიცხვა; პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ მატერიალური რესურსების მოზიდვის მაჩვენებელი (მონაწილეობა საგრანტო პროექტებში) ასევე, გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, გასაუბრება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან აჩვენებს, რომ პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში ჩაშლილი იყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ პროგრამის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ბიუჯეტში ჩაშლილი იყოს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები.</p>
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			

5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების მიერ აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით წარმოდგენილია დებულებები, რომელთა შესაბამისად უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკით (დამტკიცებული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს #06-01/91 დადგენილებით). ასევე, შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რომელშიც გაწერილია პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობა, პროგრამის განხორციელების უწყვეტი მონიტორინგი და განვითარება.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

საფაკულტეტო დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია გამოკითხვებისთვის კითხვარის მომზადების პროცესში, კვლევების ჩატარებაში, გამოკითხვების ანალიზში. დამუშავებული შედეგები მიეწოდებათ დაინტერესებულ მხარეებს - პროგრამის ხელმძღვანელს, სამუშაო ჯგუფს, ფაკულტეტის საბჭოს. შემუშავებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც პროგრამის განხილვას ახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით - თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება, სწავლება სწავლის მეთოდების რელევანტურობა, წინაპირობებთან, აკადემიურ პერსონალთან და ა.შ. საკითხებთან დაკავშირებით.

საუნივერსიტეტო დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს მოხსენებებს/ანგარიშს ჩატარებული კვლევების შესახებ და გასცემს რეკომენდაციებს, ატარებს პორტალის მონიტორინგს..

შიდა ხარისხის შეფასებისთვის დაწესებულება იყენებს გამოკითხვებს, სასწავლო პროცესზე დასწრებას, რესურსების (ლაბორატორიული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების არსებობის, და სხვ) არსებობის/საჭიროების მონიტორინგს და ა.შ.; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მცირე რიცხოვნობის გამო აქტიურად გამოიყენება პირდაპირი ინტერვიუებიც.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას უწევს კვლევების/გამოკითხვების ჩატარებას, მიღებული შედეგების ანალიზს, რომლის საფუძველზე შეიძლება ცვლილებები განხორციელდეს პროგრამაში - სწავლება/სწავლის მეთოდების, ლიტერატურის თუ სასწავლო კურსის შინაარსის კუთხით. ასევე ყურადღება ექცევა სტუდენტების შეფასების ანალიზს (გაუსის განაწილებიდან გადახრას არსებობის შემთხვევაში ხდება უფრო ჩაღრმავებული კვლევა); კვლევის ანალიზით მიღებული შედეგები განიხილება პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და შემდეგ აკადემიურ საბჭოს ანგარიშის სახით.

უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს შეფასების შემდეგ კომპონენტებს: პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობა სასწავლო

მასალის, სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში; სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობა; სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივი ანალიზი; სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვა; საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა და სხვ.; დაწესებულების პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის თვითშეფასების ანალიზი ხორციელდება სამეცნიერო კვლევების სამსახურის, რექტორის მოადგილის, დეკანის, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ. შედეგების ანალიზი, რეაგირების მექანიზმები და შესრულების ვადები გაწერილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით №06-01/90 დამტკიცებულ „ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის“ დოკუმენტში.

აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი, ასევე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა კვლევა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კვლევა.

აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი კვლევების დოკუმენტებით (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა) ვერ დგინდება აღნიშნული პროგრამასთან მათი კავშირი და ამავე დროს რიგ შემთხვევაში ეს დოკუმენტები წარმოადგენს წინა წლების (2016-2018) დოკუმენტაციას.

თუმცა, ვიზიტის დროს გამოჩნდა რომ პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში დაწესებულება ითვალისწინებს უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს.

ინტერვიუებზე სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა დაადასტურეს რომ მათი მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აინტერესებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და პროგრამის ხელმძღვანელს და მათი მოსაზრებები სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისას მხედველობაში იყო მიღებული. ინტერვიუების დროს ასევე დადასტურდა პროგრამის სტუდენტის და კურსდამთავრებულის მონაწილეობა პროგრამის განვითარების და თვითშეფასების პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და თანამშრომელთან ინტერვიუს დროს (აღსანიშნავია რომ აღნიშნული პირები ამ პოზიციებზე არიან ახალი დანიშნულები) მათ გაგვაცნეს ხედვა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით - მათ შორის მოსაზრება რომ აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით გეგმავენ არა რაოდენობრივ არამედ ხარისხობრივ კვლევებს, რაც სტუდენტების და კურსდამთავრებულების მცირერიცხოვნობის გამო უფრო ინფორმატიული და სასარგებლო იქნება პროგრამისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლი-ლებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ჩატარებული კვლევები
- პროგრამა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოახდინოს აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით განხორციელებული კვლევებისა და აქტივობების, ასევე, მიღებული შედეგების ანალიზის ფორმალიზება (დოკუმენტურადაც იყოს დადასტურებული)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მისასაღმებელი პრაქტიკაა მულტიფუნქციური ელექტრონული პორტალი, რომელიც საშუალებითაც შესაძლებელია ეფექტიანად ხარისხის შიდა მექანიზმების განხორციელება - მათ შორის, გამოკითხვების ჩატარება, მონაცემების დამუშავება, პერსონალის შეფასება და ა. შ.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების მექანიზმებია - ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას.

დაწესებულება პროგრამის განვითარებისა და გარე შეფასების მიზნებისთვის იყენებს გარე დარგის სპეციალისტების შეფასებებს. პროგრამა შეფასდა ორი გარე შემფასებლის მიერ: საქართველოს აგრეგული უნივერსიტეტის ფიზიკის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი **ზურაბ ჯიბუტი**; ბათუმის საზღვაო აკადემიის ზოგადსაგანმანათლებლო აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი **მზია დიასამიძე**.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე ექსპერტთა დასკვნები;
- ჩატარებული კვლევები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების და კვლევების ფართო ასორტიმენტი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, თუმცა აღნიშნული სტანდარტთან მიმართებით წარმოდგენილი მასალა არის 2016, 2017, 2018, 2019 წლის და ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილ კვლევებში აღნიშნულ პროგრამასთან ბმა ვერ ხერხდება.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რაც მოიცავს სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, სტუდენტთა

გამოკითხვის შედეგების ანალიზს. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგის ერთ-ერთი მექანიზმია გამოკითხვა. გამოკითხვა ტარდება დაწესებულების მიერ შემუშავებული ელექტრონული პორტალის მეშვეობით, რომლის გამოყენებით შესაძლებელია კომენტარის გამკეთებელი სტუდენტის დონეზე უკუკავშირის მიწოდება (გამოკითხვები ანონიმურია და უკუკავშირიც ცხადია ჯგუფთან ან არაიდენტიფიცირებულ რესპოდენტთან ხდება). გამოკითხვის შედეგების ანალიზი ჩანს სტუდენტების პორტალზეც.

აღნიშნულ ელექტრონულ პორტალზე ხდება პოტენციური დამსაქმებლების რეგისტრაცია და მათ გამოკითხვასთან ერთად, ხდება დამსაქმებლების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

ელექტრონული პორტალის მეშვეობით კონტროლდება შეფასებების დროულობა, შეფასებასთან დაკავშირებული უკუკავშირი რომელიც პორტალის საშუალებით სავალდებულოა. (კომენტარის გარეშე პედაგოგი შესრულებას ვერ დაასრულებს).

სალექციო პროცესის მონიტორინგის და გაუმჯობესების მიზნით გამოიყენება ლექციებზე დასწრება. დისტანციურ სასწავლო პროცესზე გადასვლის შემდეგ ელექტრონულ პორტალზე ჩაშენებული შესაბამისი “ლილაკის” მეშვეობით შესაბამისი ავტორიზაციის მქონე პირს/პირებს შეუძლია შეუერთდეს სალექციო პროცესს და შეაფასოს იგი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგი ასევე განხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრულ ნიშნულებთან შედარების გზით.

პროგრამის განხორციელების პროცესში ჩატარებული კვლევების საფუძველზე (სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პროცესის, სწავლება-სწავლის მეთოდების, გამოცდების ორგანიზების, საგამოცდო მასალების, გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, აკადემიური მოსწრების ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა) წამოჭრილ საკითხებთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება რეკომენდაციების შემუშავება. რეკომენდაციები განიხილება დარგობრივ დეპარტამენტებში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე. წამოჭრილი საკითხების გათვალისწინება ხდება პროგრამის განვითარებისთვის.

განხორციელდა პროგრამის დადარება საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან: კემბრიჯის უნივერსიტეტის ფიზიკის სადოქტორო პროგრამა (University of Cambridge PhD in Physics); პრინსტონის უნივერსიტეტის ფიზიკის სადოქტორო პროგრამა (Princeton University physics graduate program); ლეიდენის უნივერსიტეტის ფიზიკის სადოქტორო პროგრამა (Leiden University - Leiden Institute of Physics PhD program) და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;

სტუდენტთა გამოკითხვები <https://portal.bsu.edu.ge/>

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები <https://bsu.edu.ge/sub27/page/262/index.html>

საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებები <https://bsu.edu.ge/sub24/orders/3/index.html>

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“.

პროგრამის ბენჩმარკინგი

რეკომენდაციები:

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ეფექტურად განხორციელებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების შედეგების გამოიყენების მიზნით, უნდა მოხდეს გამოკვლევული ინფორმაციის ფორმალიზება/დოკუმენტირება და მიღებული შედეგების დამუშავება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		V		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ფიზიკა, მესამე საფეხური
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა გიორგი დალაქიშვილი *გ. დალაქიშვილი*

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ჯოჯუა 

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ თავხელიძე *თ. თავხელიძე*

სახელი, გვარი, ხელმოწერა ავთანდილ თავხელიძე *ა. თავხელიძე*